საქართველოს ადვოკატთა ასოციაციია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: კონსტანტინე გელაშვილი

კომისიის წევრები: ეკატერინე გეწაძე, ეკატერინე მაჭარაშვილი, მარინე ცუცქირიძე, ინგა ნებიერიძე, მამუკა ნოზაძე, ანა კოტეტიშვილი, ოთარ კაჭკაჭაშვილი, ანა ხურციძე, ინგა ბერიძე

საჩივრის ავტორი - თ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.07.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №054/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. გ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 6 ივლისს, სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ჭ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2022 წლის 1 აგვისტოს თ. ჭ. დაესწრო საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც დააზუსტა, რომ სურდა კომისიას შეეფასებინა ადვოკატ ლ. გ.-ის მიერ უშუალოდ მის მიმართ ჩადენილი გადაცდომები. თ. ჭ. დაესწრო 2023 წლის 15 თებერვალს განხილვის კოლეგიის სხდომას, სადაც მხარი დაუჭირა მის მიერ წარმოდგენილ საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის პოზიციით, 2021 წლის ივლისის თვეში მან მიმართა ადვოკატ ლ. გ.-ს თავისი ძმის - ბ. ჭ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე. მხარეთა განმარტებით ლ. გ.-ს ბ. ჭ.-ის ინტერესები უნდა დაეცვა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში საქმისწარმოებისას. საჩივრის ავტორის პოზიციის მიხედვით, ბ. ჭ.-ს ბრალი წარდგენილი ჰქონდა ყაჩაღობით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. თ. ჭ.-ს განცხადებით, ადვოკატმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შეძლებდა ბ. ჭ.-სთვის სასჯელის შემსუბუქებას ან საპროცესო შეთანხმების დადებას და გარანტია მისცა საქმის შედეგზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, თავდაპირველად ბ. ჭ.-ის ინტერესებს იცავდნენ სხვა ადვოკატები, რომლებიც ლ. გ.-ის მოთხოვნის შესაბამისად ჩამოაშორა საქმისწარმოების პროცესს. თ. ჭ.-ს

განცხადებით, სანამ ადვოკატი ლ. გ. საქმეში ჩაერთვებოდა ადვოკატ ც. მ.-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ჰქონდა სააპელაციო საჩივარი.

1.3 საჩივრის ავტორის პოზიციით, მან ადვოკატს სრულად გადაურიცხა საადვოკატო მომსახურების საფასური - 1000 აშშ დოლარი (3120 ლარი) და საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად აუცილებელი თანხა - 3000 აშშ დოლარი (9270 ლარი). ადვოკატის მოთხოვნის შესაბამისად, საჩივრის ავტორმა აღნიშნილი თანხა ჩარიცხა ლ. გ.-ის შვილის გ. გ.-ს პირად ანგარიშზე.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი საქმის გაჭიანურებას არჩევნებსა და სხვადასხვა ფაქტორებს აბრალებდა. თ. ჭ.-ს განცხადებით, ადვოკატი ლ. გ. ნოემბრის თვეში დაუკავშირდა და მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქმე გართულდა და დამატებით საჭირო იყო 2000 აშშ დოლარი საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად, რაც საჩივრის ავტორმა გადარიცხა გ. გ.-ს საბანკო ანგარიშზე (2000 აშშ დოლარის ექვივალენტი - 6200 ლარი). ადვოკატის განმარტებით, საპროცესო შეთანხმება 2022 წლის 10 იანვარს გაფორმდებოდა. თ. ჭ.-ს განცხადებით, ადვოკატ ლ. გ.-ისთვის გადასაცემი თანხა სხვადახვა ორგანიზაციებიდან სესხის სახით მიიღო.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს ბ. ჭ.-ის ინტერესების დასაცავად საპროცესო მოქმედებები არ განუხორციელებია, ადვოკატს არც საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად უწარმოებია მოლაპარაკებები და არც სასამართლო პროცესებს დასწრებია. საჩივრის ავტორის განმარტებით საქმე ისე დასრულდა უზენაეს სასამართლოში,რომ მას საქმისწარმოების მიმდინარეობაზე ინფორმაცია არ ჰქონდა და საქმის შედეგი პროკურორმა აცნობა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. გ.-ს მოსთხოვა მისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება და მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი დააბრუნებდა 5000 აშშ დოლარის ექვივალენტის თანხას ეროვნულ ვალუტაში - 15470 ლარს, თუმცა ადვოკატს არც საპროცესო შეთანხმებისთვის გადახდილი თანხა და არც გამოუმუშავებელი ჰონორარი დღემდე არ დაუბრუნებია.

1.6 საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, თ. ჭ.-მ 2022 წლის 6 ივლისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა მოწმე - ზ. ზ.. ზ. ზ.-ს განცხადებით, ადვოკატი ლ. გ. იცავდა ბ. ჭ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო ეტაპზე. ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ აღნიშნულ დანაშაულზე, რომელიც ეხებოდა ყაჩაღობას, საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდებოდა, თუმცა ამის მიუხედავად, ლ. გ. ჰპირდებოდა კლიენტს, რომ აღნიშნულ საქმეზე მიაღწევდა საპროცესო შეთანხმებას, ადვოკატმა საადვოკატო მომსახურებისთვის აიღო 1000 აშშ დოლარი, ხოლო საპროცესო შეთანხმების მისაღწევევად 5000 აშშ დოლარი, თუმცა ლ. გ.-ს ნაკისრი ვალდებულებები არ შეუსრულებია და არც თანხა დაუბრუნებია კლიენტისათვის.

2023 წლის 15 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, თ. ჭ.-მ დამატებით განმარტა, რომ მასსა და ადვოკატ ლ. გ.-ს შორის წარმოებდა მოლაპარაკება და ადვოკატი დაპირდა თანხის დაბრუნებას. აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად ადვოკატმა მოითხოვა დამატებით 2-3 დღის ვადა. საჩივრის ავტორის განმარტებით ის არ ენდობა ადვოკატის დაპირებას, თუმცა იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი შეასრულებდა დაპირებას, ის წინააღმდეგი არ იქნებოდა ადვოკატთან მორიგების. საჩივრის ავტორსა და ეთიკის კოომისიის აპარატის იურისტს შორის 2023 წლის 13 მარტს შედგა სატელეფონო კომუნიკაცია, სადაც თ. ჭ.-მ განუცხადა ეთიკის კომისიის აპარატის იურისტს, რომ ის და ადვოკატი ლ. გ. მორიგდნენ, ადვოკატმა სრულად დაუბრუნდა მისგან მიღებული თანხა.

შესაბამისად, მას ადვოკატის მიმართ არ გააჩნდა პრეტენზია. თ. ჭ.-მ განაცხადა, რომ მისი მიზანი არ იყო ადვოკატზე შურისძიება და ვინაიდან ადვოკატმა სრულად დაუბრუნა თანხა, აღარ სურდა კომისიას გაეგრძელებინა საქმეზე წარმოება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ეთიკის კომისიის აპარატი 2022 წლის 15 ივლისს დაუკავშირდა ადვოკატ ლ. გ.-ს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში მითითებულ ნომერზე: *** ** ** ** და აცნობა, რომ მის მიმართ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა თ. ჭ.-მ. ადვოკატმა დაადასტურა შეტყობინების მიღება და მისი მოთხოვნით საჩივარი და საქმის მასალები გაგზავნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში არსებულ ელ . ფოსტის მისამართზე: **********. 2022 წლის 26 ივლისს ეთიკის კომისიის აპარატი იმავე ნომერზე დაუკავშირდა ადვოკატ ლ. გ.-ს და აცნობა ეთიკის კომისიის სხდომის თარიღი. სხდომის რეკვიზიტები ადვოკატს გაეგზავნა ელექტრონული ფოსტის საშუალებითაც, თუმცა ადვოკატი არ გამოცხადებულა 2022 წლის 08 აგვისტოს ჩანიშნულ სხდომაზე, რის გამოც აღნიშნული სხდომა გადაიდო. 2022 წლის 08 სექტემბერს ეთიკის კომისიის აპარატი დაუკავშირდა ადვოკატ ლ. გ.-ს და აცნობა, რომ საპროცესო კოლეგიის სხდომა ჩაინიშნა, 2022 წლის 12 სექტემბერს. ადვოკატმა ლ. გ.-მ დაადასტურა შეტყობინების მიღება. ლ. გ.-ს სხდომის ლინკი და რეკვიზიტები გაეგზავნა ელ. ფოსტის მისამართზე - **********. ადვოკატმა დაადასტურა შეტყობინების მიღება, თუცა არ ჩაერთო საპროცესო კოლეგიის სხდომაში და არ წარმოადგინა გამოუცხადებლობის საპატიოობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.2 ადვოკატ ლ. გ.-ს არც განხილვის კოლეგიის სხდომაში მიუღია მონაწილეობა. ეთიკის კომისიის აპარატი 2023 წლის 27 იანვარს დაუკავშირდება ადვოკატ ლ. გ.-ს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე: *** ** ** ** და აცნობა, რომ დისციპლინურ საქმეზე 054/22 განხილვის კოლეგიის სხდომა ჩაინიშნა 2023 წლის 7 თებერვალს, 12 საათზე, ონლაინ, ,,ზუმის'' პროგრამით. ადვოკატმა დაადასტურა სხდომაში მონაწილეობა. სხდომის ლინკი და რეკვიზიტები ადვოკატს გაეგზავნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან ელექტრონულ სიაში არსებულ მისამართზე: ********** და აპლიკაცია „Whatsapp"-ის მეშვეობით. ადვოკატი არ ჩაერთო განხილვის კოლეგიის სხდომაში და 7 თებერვალს ეთიკის კომისიის აპარატთან სატელეფონო საუბრისას განმარტა, რომ ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ შეძლებდა სხდომაში მონაწილეობის მიღებას. ადვოკატმა განაცხადა, რომ გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ხელს უშლიდა ტექნიკური ხარვეზიც და ვერ ახერხდებდა მობილურით, ,,ზუმის'' აპლიკაციის გახსნას. ადვოკატის განმარტებით, ის იმყოფებოდა მისი დის სახლში, იყო მარტო და ვერ ახერხებდა სხვა ტექნიკის გამოყენებასაც. ადვოკატის მდგომარეობის გათვალისიწინებით, განხილვის კოლეგიამ მიიღო გადაწვეტილება სხდომის გადადების თაობაზე და აპარატის მეშვეობით აცნობა ადვოკატს, რომ მომდევნო სხდომამდე წარმოედგინა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა და მომდევნო სხდომისთვის უზრუნველეყო სხდომაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი ტექნიკური გამართულობა.ადვოკატს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია.

2.3 2023 წლის 7 თებერვალს ეთიკის კომისიის აპარატი დაუკავშირდა ადვოკატ ლ. გ.-ს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში მითითებულ ნომერზე: *** ** ** ** და აცნობა, რომ

დისციპლინურ საქმეზე 054/22 განხილვის კოლეგიის სხდომა ჩაინიშნა 2023 წლის 15 თებერვალს, 11:00 საათზე. ადვოკატმა დაადასტურა სხდომაში მონაწილეობის მიღება. ადვოკატს სხდომის ლინკი და რეკვიზიტები გაეგზავნა ელ. ფოსტისა და აპლიკაცია ,,Whatsapp"-ის საშუალებით. 2023 წლის 15 თებერვალს ადვოკატი ლ. გ. აპლიკაცია ,,Whatsapp"-ის საშუალებით დაუკავშირდა ეთიკის კომისიის აპარატს და მიაწოდა ინდფორმაცია, რომ ვერ შეძლებდა განხილვის კოლეგიის სხდომაში მონაწილეობის მიღებას, ვინაიდან ჰქონდა ტექნიკური პრობლემა და ვერ ახერხებდა ,,ზუმის"- ის ლინკის გახსნას. ადვოკატმა ეთიკის კომისიის აპარატის იურისტთან საუბრისას განმარტა, რომ აპირებდა საჩივრის ავტორთან მორიგებას და ეთიკის კომისიას არ უნდა მიეღო გადაწყვეტილება. განხილვის კოლეგიის სხდომაში ადვოკატს მონაწილეობა არ მიუღია. შესბამისად, კოლეგიისათვის უცნობია ადვოკატ ლ. გ.-ის პოზიცია.

3 დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2022 წლის 12 სექტემბერს, პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

საპროცესო კოლეგიის განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ლ. გ.-მ გარანტია მისცა თ. ჭ.-ს საქმის შედეგზე; წინასწარ და გარკვევით არ მიაწოდა ინფორმაცია მას ანაზღაურების გამოთვლის წესზე; ადვოკატმა თ. ჭ.-ს არ წარუდგინა ანგარიშგება და არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3; მე-5; მე-8; მე-13 და მე-15 ნაწილები.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

4.1 განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს და საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას. განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების დებულების 36-ე მუხლით და დაადგინა, რომ ლ. გ.-ის მიმართ შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის შეწყვეტა.

4.2 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1(ბ, გ), 35.1 მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 23-ე, 24-ე, 35-ე, 36-ე, მუხლებით და დისციპლინური საქმე N ადვოკატ ლ. გ.-ის მიმართ /სიითი № / განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

4 შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. გ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5 სამართლებრივი შეფასება:

5.1 2023 წლის 13 მარტს ეთიკის კომისიის იურისტთან სატელეფონო საუბრისას, საჩივრის ავტორმა - თ. ჭ.-მ განუმარტა ეთიკის კომისიის აპარატის იურიტს, რომ ის და ადვოკატი ლ. გ. მორიგდნენ,

ადვოკატმა სრულად დაუბრუნა თანხა და ადვოკატის მიმართ არ გააჩნდა პრეტენზია.შესაბამისად, აღარ სურდა ეთიკის კომისიას გაეგრძელებინა საქმისწარმოება. აღნიშნული პოზიცია საჩივრის ავტორმა წარმოადგინა ელ. ფოსტის საშუალებითაც.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)". შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ლ. გ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმე №054/22 ადვოკატ ლ. გ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/

კოლეგიის წევრი: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/